საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

15/01/2026

MES 0 26 0000026883

გადაწყვეტილება

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5- ემუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც

„ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 7 ოქტომბრის №1300436 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვან საბაკალავრო და "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე სააკრედიტაციო ვიზიტი.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და 1.3 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია ამოიღო -

"რეკომენდებულია სისტემატურად გაანალიზდეს შეფასების შედეგები, მიღებული დასკვნების საფუძველზე დაიგეგმოს და განხორციელდეს მიზნობრივი გაუმჯობესების ღონისძიებები, ხოლო შემდეგი შეფასების ციკლში მოხდეს მათი მონიტორინგი და ხელახალი შეფასება, რაც ეფექტურად უზრუნველყოფს „ციკლის დახურვას“ და სწავლის შედეგების უწყვეტ გაუმჯობესებას." -

ამან გამოიწვია 1.3 კომპონენტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", შეფასდა, როგორც "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". აღნიშნულ ცვლილებას არ გამოუწვევია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვან საბაკალავროსაგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 25 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვანი საბაკალავრო და "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 15 იანვრის სხდომის №26849 ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

კლასტერული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დარეგულირდეს გამჭვირვალე და განსაზღვრული პროცედურებით და სისტემურად აღირიცხოს. რეგულარული შეფასებების განხორციელება კი უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებას.
- რეკომენდებულია, სწავლის შედეგებში აისახოს პროფესიული უნარები, რათა სტუდენტებმა ტექნიკურ ცოდნასთან ერთად განავითარონ კომუნიკაციის, გუნდური მუშაობისა და ეთიკური ქცევის კომპეტენციები.
- პროგრამის სწავლის შედეგებში პრაქტიკული და კვლევითი კომპეტენციების გაძლიერების მიზნით, რეკომენდებულია სწავლების პროცესში გაიზარდოს თანამედროვე მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენება, მათ შორის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადების ეტაპზე.
- რეკომენდებულია, სამუშაო დატვირთვის სქემა ასახავდეს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის სრულ სამუშაო დატვირთვას, მათ შორის — აკადემიური პერსონალისთვის განსაზღვრულ სამეცნიერო დატვირთვასაც, და რომ გასწორდეს არსებული შეუსაბამობები.
- ასევე, რეკომენდებულია, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ, აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციის საფუძვლეზე, გააანალიზოს სამეცნიერო პუბლიკაციებთან დაკავშირებული ინდიკატორები და დაგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები, რაც გააუმჯობესებს აკადემიური პერსონალის კვლევით პროდუქტიულობას და შესაბამისად, გაზრდის პერსონალის საერთაშორისო ცნობადობას.

ინდივიდუალური რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, რაც გაზრდის მისი საერთაშორისო აქტუალობას და კონკურენტუნარიანობას. 1.4
- რეკომენდებულია, სწავლებისა და სწავლების პროცესში ინტეგრირდეს ინდუსტრიის სტანდარტების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, რათა სტუდენტებმა შეისწავლონ და პრაქტიკაში გამოიყენონ ის პროგრამები, რომლებიც საერთაშორისო დონეზე გამოიყენება ნავთობის, გაზისა და ენერგეტიკის ინდუსტრიაში. ეს გააძლიერებს კურსდამთავრებულთა დასაქმებადობას და მათ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 25 დეკემბრიდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 25 დეკემბერი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან